

ივანე მჭედელაძე

Ivane Mchedeladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**კულტურული ტრანსფერი ქართულ-უკრაინულ
ლიტერატურულ ურთიერთობებში: გრიცკო ხალიმონენკო –
ქართული მწერლობის მთარგმნელი**

**Cultural Transfer in Georgian-Ukrainian Literary Relations:
Hrytsko Khalymonenko – Translator of Georgian Literature**

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10029>

Translation as an interdisciplinary field is the subject of research in various branches of the humanities. Theoretical reflections on intermediaries, through which literary-cultural relations evolve, have always been and remain highly relevant both to translatology and comparative literature criticism.

The work of the Ukrainian Georgian scholar and translator, Hryts Khalymonenko, has unjustly remained underappreciated by researchers. As highlighted in the selected analytical sources for this presentation, his translation work is one of the most significant segments in the development and diversification of Georgian-Ukrainian literary relations in the second half of the 20th century.

In 2021, an interview with the elderly scholar and translator Hryts Khalymonenko was published in the 17-18th and 19th issues of the journal „Literary Ukraine“, with the title "The Patriarch's Autumn." This long interview features a subtitle: "I am 100% Ukrainian and 100% Georgian." The article includes many important and unknown facts that have never been analyzed in either Georgian or Ukrainian literary studies concerning their literary relations. Consequently, using the methodology of cultural transfer, the presentation will be based on the information presented in the interview. By generalizing the information, we will analyze the so-called "third force," which, according to this methodology, refers to preparing the foundation for the acceptance of a foreign cultural context in the recipient culture, analyzing literary-cultural processes, supra-literary factors, reve-

aling cultural specifics and intercultural differences, translation norms, and more. Research sources also include journalistic materials related to the translator in Georgia, as well as Ukrainian-language translations by Khalymonenko that I have collected, whose theoretical translational research shows the hermeneutic paradigms for understanding foreign texts and cultures.

The methodology of cultural transfer involves identifying synchronous and diachronic relations between the contexts of the transmitting and receiving sides. As a result, the presentation will highlight general trends in the translation of Georgian literature in Ukraine and its place in the poly-systemic paradigm of literary translation. The research presents previously unknown facts and literary histories – the connections between the translator and the Ukrainian dissident movement, as well as their opposition to the Soviet ideological context (for years, Khalymonenko was on the list of banned authors, and his texts were not published, including those concerning the translation of Georgian literature). To further explore these unknown histories, the presentation uses qualitative research, primarily the key informant interview.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები, კულტურული ტრანსფერი, გრიცკო¹ ხალიმონენკო

Keywords: Translation, Georgian-Ukrainian Literary Relations, cultural transfer, Hrytsko Khalymonenko

¹ აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა პერიოდში იგი საკუთარ სახელს ნაშრომებზე სხვადასხვანაირად უთითებდა, წინამდებარე სტატიაში ვიხსენიებ საქართველოში დამკვიდრებული ფორმით, რომელიც შეიძლება უკვე ტრადიციულ ფორმად იქნეს მიჩნეული. ასევე არის მითითებული სტატიაში განხილულ თარგმანებზეც.

თეორიული შესავალი

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის პროცესში სხვადასხვა მიზეზთა გამო შეუსწავლელი მნიშვნელოვანი მასალების აღმოჩენა აძლიერებს მათი მეცნიერული ანალიზის ინტენციას თანამედროვე მეთოდოლოგიური კონცეფციების გამოყენებით. ერთ-ერთი ასეთია გრიცკო ხალიმონენკოს მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც თავისი მასშტაბურობით, ხარისხითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ლიტერატურული კავშირების ისტორიაში. კულტურული დიალოგის თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. *შუამავლების* საკითხი, რომელთა მეშვეობითაც მყარდება/ვითარდება ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესი. აღნიშნული პრობლემის ანალიზისათვის თანამედროვე კომპარატივისტიკასა და ტრანსლატოლოგიაში კანონზომიერად იწერება ახალი თეორია, რომელსაც *კულტურულ ტრანსფერს* უწოდებენ.

ევროპულ სამეცნიერო დისკურსზე დაყრდნობით გ. სივაჩენკო განიხილავს კულტურული ტრანსფერის მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც ყურადღება ექცევა ერთი კულტურული სივრციდან მეორეში სემიოტიკური გარდაქმნის მრავალწახნაგოვან პროცესებს. კულტურული ტრანსფერის კვლევის ობიექტად განიხილება თარგმანის ისტორია, მისთვის მნიშვნელოვანია უცხო კულტურული ფენომენის აღქმა, იმ ფაქტების ანალიზი, თუ რა იცვლება თარგმანის დროს მიმდებ კულტურაში, როგორია რეციფიენტ კულტურაში უცხო ფენომენის ახალი გათავისება.

კულტურული ტრანსფერის თვალსაზრისით ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის არეალში ექცევა გაცვლის ფენომენი. ეს მიდგომა გულისხმობს გადამცემისა და მიმღები მხარის კონტექსტებს შორის სინქრონულ და დიაქრონულ მიმართებათა გამოვლენას. ამ თეორიულ პარადიგმაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. ანკლავები და კულტურული გაცვლის აგენტები. ამათში მოიაზრება ერთი კულტურიდან მეორეში ცოდნის გადამტანი და გამავრცელებელი ფაქტორები, პერსონები.

ამ მიდგომის მიხედვით ყურადღება ეთმობა როგორც თარგმნილი ტექსტის შექმნის, ფუნქციონირებისა და აღქმის კონტექსტებს, ისე კულტურული გარდაქმნის პროცესის სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც შიფრავს რთულ პარადიგმას – ამოსავალი კულტურა – ინსტანცია – შუამავალი – მიმღები (ანუ გარდამქმნელი) კულტურა. კულტურუ-

ლი ტრანსფერის თეორია, – წერს გ. სივაჩენკო, – შეისწავლის „მესამე ძალას“. მესამე ძალა ეწოდება მიმღებ კულტურას, რომელიც ამზადებს საფუძველს გადმოტანილი ტექსტის ხელახლა წასაკითხად, ამისთვის კი საჭიროა ლიტერატურული პროცესების სათანადო ანალიზი (Сиваченко, 2019, გვ. 70-81).

ცნობილია, რომ ლიტერატურული პროცესის განვითარებასთან ერთად მთარგმნელობითი პროცესიც ვითარდება და იცვლება. მათი ტრანსფორმაციების სპეციფიკური მარკერების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია მთარგმნელობითი სკოლისა და ნაციონალური ტრადიციებისა განზოგადება, *საერთაშორისო ინვარიანტულობისა* და ნაციონალური განსხვავებულობების გამოვლენა. ამ მოვლენაში ირეკლება ეპოქის მხატვრული ტენდენციებიც. როგორც თეორიაშია აღიარებული:

„მთარგმნელობითი ინოვაციების მექანიზმის სიღრმისეულად გასააზრებლად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ტალანტის კავშირის გააზრება არსებულ ტრადიციებთან (*თეორიული შეხედულებები თარგმანის შესახებ*) ასევე – მთარგმნელის მათთან დამოკიდებულება... მთარგმნელი ქმნის ახალ ტექსტს – ნაწარმოებს, რომელსაც ეტყობა ორიგინალის სუბიექტური ინტერპრეტაცია. ზუსტად ეს ხელახლა შექმნილი ტექსტი ხდება აღმქმელი კულტურის ღირსება, ხოლო ახალ კულტურულ ველზე მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის განპირობებული ინტერპრეტატორის ინდივიდუალურობითაც“ (Модебадзе, 2015, გვ. 441-442).

აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია გრიცკო ხალიმონენკოს მიერ შესრულებული თარგმანების ანალიზის შედეგად გამოიკვეთოს ქართული მწერლობის ფუნქციონირების ზოგადი პარადიგმები უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში.

ქართული ლიტერატურის უკრაინულად თარგმნის ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, რომ თავის საწყის ეტაპზე ის ინფორმაციულ ფუნქციას უფრო ატარებდა, რადგან არ იყვნენ ქართული ენისა და კულტურის მცოდნე უკრაინელი მთარგმნელები. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი უკრაინელი პოეტი, ლესია უკრაინკა, არცთუ სახარბიელო შეფასებას რომ აძლევდა ქართულ მწერლობას. როგორც ჩანს,

არსებული თარგმანები ვერ ახდენდა შთაბეჭდილებას უკრაინელ მკითხველზე.

ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც მხატვრული ლიტერატურის თარგმანი საბჭოთა კულტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდა. განსაკუთრებულად დიდი მასშტაბები მან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიიღო: „მხატვრული თარგმანის არნახული მასშტაბებით გაზრდა ემთხვეოდა სახელმწიფოს მისწრაფებას – სსრკ ზესახელმწიფოდ წარმოჩენილიყო“ (Чахидзе, 2018, стр. 305).

გიგანტური კონგლომერატის – მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე მხატვრული თარგმანი „იმპერიული ლიტერატურული ტრადიციების“ (ე. ჩხაიძის ტერმინი) პროდუქტი იყო, რომელსაც, იდეოლოგიურის გარდა, დიდი კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა. მასში ასევე გამჭოლად აირეკლა რუსული/საბჭოთა კულტურული იმპერიალიზმის ჩამოყალიბების, განვითარების, მისი დიქტომიურობისა და დაშლის პარადიგმები.

უკრაინულ-ქართული მხატვრული თარგმანის პრობლემები XX საუკუნის 70-იან წლებში შეისწავლა უკრაინელმა ქართველოლოგმა, ლ. ჰრიციკმა და აჩვენა მისი განვითარების სპეციფიკა. ქართული პროზის უკრაინული თარგმანების თეორიული ანალიზის საფუძველზე განაზოგადა წლების განმავლობაში არსებული პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული თარგმანის ტრადიციები – როგორ იყენებდნენ უკრაინელი მთარგმნელები როგორც ერთმანეთის, ისე წინა თაობების გამოცდილებას, როგორი იყო ახალი კადრების მთარგმნელობითი ოსტატობა და ა.შ. ქართული მხატვრული პროზის უკრაინულად შესრულებული თარგმანების შესწავლის საფუძველზე გამოავლინა ქრონოლოგიური ეტაპები და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მარკერები ლიტერატურულ ურთიერთობებათა პროცესში. ამ გზით მკვლევარმა აჩვენა, რომ ყოველ ათწლეულში იცვლებოდა, იხვეწებოდა და მრავალფეროვნდებოდა ქართული მწერლობის უკრაინულად თარგმნის პროცესი (Грицик, 1973, стр. 3).

როგორც მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების უკრაინული თარგმანმცოდნეობითი სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, მხატვრული თარგმანის სფეროში ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ახალი ეტაპი განპირობებული იყო ახალგაზრდა კადრების, უკრაინელი ქართველოლოგების, გამოჩენით. დახასიათებულია ამ ეტაპის თარგ-

მანის ზოგადი სპეციფიკა – იგი ორიენტირებული იყო მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ნაციონალური სპეციფიკა, მინიმუმამდე დაეყვანა გაუმართლებელი, წვრილმანი დანაკარგებიც კი. საქართველოში განათლებამიღებული უკრაინელი მთარგმნელებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნაციონალური სპეციფიკის შესანარჩუნებლად ასლი მექანიკურად არ გადაეტანათ, ან კალკირებისთვის არ მიემართათ, არამედ მსგავსი სიტყვებით, ან ფუნქციური ეკვივალენტებით შეენარჩუნებინათ ბალანსი. აქვე ისიც აღნიშნა, რომ საკუთარი სახელების გადმოტანაში არსებული პრაქტიკა ვეღარ აკმაყოფილებდა უცხო კულტურული კოლორიტის შენარჩუნებისათვის წაყენებულ ახალ მოთხოვნილებებს. თეორიაში საგანგებოდ გამოიკვეთა, რომ ნაციონალური სპეციფიკის, რეალიების, გადასატანად მხოლოდ ლინგვისტური ან თუნდაც გარკვეული წეს-ჩვეულებების ცოდნა აღარ იყო საკმარისი, მთარგმნელი აუცილებლად კარგად უნდა ორიენტირებულიყო იმ ხალხის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებში, მის სპეციფიკურ ნიუანსებში, რომლის ლიტერატურასაც თარგმნიდა (Грищик, 1973, 72-78). ქართული მწერლობის თარგმანისათვის წაყენებული მთელი ეს მოთხოვნები პროფესიონალურად რეალიზდა უკვე იმ დროიდან, როდესაც აკადემიური თანამშრომლობა დამყარდა თბილისისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილოლოგიურ ფაკულტეტებს შორის. ამ პროექტის შედეგად ჩამოყალიბდა გრიცკო ხალიმონენკო ქართული ლიტერატურის გამორჩეულ უკრაინულ მთარგმნელად და მკვლევრად.

ისტორიული მიმოხილვა

ისტორიდან ცნობილია (ბაქანიძე, 2015), რომ სასწავლო და სამეცნიერო დარგებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისისა და კიევის უნივერსიტეტებს შორის დაიდო 1938 წელის 5 დეკემბერს, თუმცა ამ პერიოდში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (*ვგულისხმობ, ფილოლოგიას*) მჭიდრო თანამშრომლობა არ შეინიშნება.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში მოძიებული მასალების მიხედვით მხოლოდ ფრაგმენტული კავშირები შეინიშნება სასწავლო და სამეცნიერო დარგში (ფონდი №471, ანაწ. 21, დოკ. 23). საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ვუშვებ ვარაუდს, რომ ამ ხელშეკრულების შედეგი უნდა ყოფილიყო ფილოლოგიის ფაკულტეტზე უკრაინული და ბელორუსული

ლიტერატურების კურსის ჩართვა სასწავლო პროგრამაში (ფონდი 421, ანაწ. 21, დოკ. 53). უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში შემდგომი წლების ოქმები და დოკუმენტები აღარ იძებნება, სავარაუდოდ, მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. ომის შემდგომ სსრკ ხალხთა ლიტერატურების ისტორიის კურსს წაუძღვება პირველი ქართველი უკრაინისტი – *მიხეილ კინწურაშვილი*, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა უკრაინულ სამეცნიერო წრეებთან. მის დაწყებულ საქმეს გარდაცვალების შემდეგ გააგრძელებენ თავისი მოსწავლეები – ოთარ ბაქანიძე და თენგიზ ბუაჩიძე. საარქივო მასალების შესწავლა აჩვენებს, რომ კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის აქტიური სასწავლო და სამეცნიერო კონტაქტები იწყება 1960-იანი წლებიდან, როდესაც უკვე ავტორიტეტული სლავისტი, ოთარ ბაქანიძე, სამეცნიერო და პედაგოგიურ მიმართულებად უკრაინისტიკას ირჩევს. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ინტენსიური ხდება უკრაინასთან სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტები სწორედ ოთარ ბაქანიძის ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით. ამისათვის სათანადო ბაზა კიევშიც მზადდებოდა. როგორც უკრაინულ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, 1965 წლის გაზაფხულზე, კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოზე, მიუღიათ გადაწყვეტილება შექმნილიყო თარგმანის ჯგუფი. 1966-67 წლებში შექმნილა პირველი ასეთი ჯგუფი (*12 სტუდენტის შემადგენლობით*), რათა სტუდენტებს მისცემოდათ სისტემური ცოდნა თარგმანის თეორიის, პრაქტიკისა და კრიტიკის დარგში. სპეცკურსებს თეორიაში კითხულობდა ლეგენდარული მთარგმნელი და თარგმანმცოდნე, გრიგორი კოჩურა (თარგმანის თეორია და პრაქტიკა), ასევე თეორიის აღიარებული უკრაინელი მკვლევარი, ვიქტორ კოპტილოვი (შესავალი თარგმანის თეორიაში). როგორც ამ პროექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ვიქტორ კოპტილოვი, აღნიშნავს, „*საბაზისო მთარგმნელობითი ცოდნის*“ მიღების შემდეგ სტუდენტები მიემგზავრებოდნენ ამიერკავკასიის სსრკ რესპუბლიკების უნივერსიტეტებში განათლების მისაღებად (Коптілов, 1968, с. 418), პირველად ამ იდეას ხორცი შეესხა 1962 წელს, როდესაც უკრაინიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად ჩამოვიდნენ სტუდენტები – გრიცკო ხალიმონენკო და ნეონილა ბილიჩენკო. აი, როგორ იხსენებს საქართველოში გამომგზავრების პერიოდს 59 წლის გასვლის შემდეგ გრიცკო ხალიმონენკო თავის უკანასკნელ ინტერვიუში:

„უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც შევიტყვე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის შესასწავლად იწვევს სტუდენტებს კიევის უნივერსიტეტიდან. როგორც კი გავიგე, ეგრევე გავვარდი დეკანთან, დეკანი იყო პავლო ფედჩენკო... მივრბოდი და ვფიქრობდი, რომ იქ უკვე რიგი დამხვდებოდა... დეკანთან რომ შევედი, მკითხა – თქვენ გნებავთ გამგზავრება? – საშინლად! ვუპასუხე მე. შემდეგ უკვე თბილისში ცხოვრების პერიოდზე იგონებს „ძალიან ბევრი მომცა ჩემს თანატოლებთან ურთიერთობამ. დაუვიწყარი იყო დამე, რომელიც გავატარეთ გალაკტიონ ტაბიძის საფლავზე: ვკითხულობდით ლექსებს, ვმღეროდით სიმღერებს, ცოტას ვწრუპავდით კიდევ. ღმერთო, როგორი იყო ამ აღმოსავლური ცის ქვეშ მთელი დამე: მთვარე, ვარსკვლავები და ახალგაზრდების მთელი კოჰორტა, როგორ უყვარდათ თავიანთი მიწა-წყალი მეც მათსავით რომ მიყვარდა!“ (Халимоненко, 2021).

რაც შეეხება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ზოგად მთარგმნელობით ტენდენციებს უკრაინაში, ცნობილი დისიდენტისა და ლიტერატურათმცოდნის, ივან ძიუბას, მართებული მოსაზრებით:

„50-60-70-იან წლებში უკრაინაში იყო მთარგმნელობითი ენერგიის ნამდვილი აფეთქება, რილსკის, ბაჟანის, კოჩურას, ლუკაშის გვერდით ამოიზარდა ახალგაზრდა ნიჭიერ მთარგმნელთა მთელი კოჰორტა, საკმაოდ ამბიციური განაცხადებით. ახალი თარგმანების გამოჩენა ერთგვარი კულტურული მოვლენა იყო იმ დროს. ამავედროულად იზრდებოდა მკითხველთა წრეც, რომელთაც სწყუროდათ ხარისხიანი თარგმანები, აღფრთოვანებულნი იყვნენ აქ წარმოჩენილი უკრაინული ენის ღირსებებით, სწორედ ამ ბრწყინვალე თარგმანების დამსახურება იყო ისიც, რომ უკრაინულად კითხვა დაიწყეს მათაც, ვინც ადრე რუსულად კითხულობდა მსოფლიო ლიტერატურას.... თავად თარგმანმა, დამახინჯებულ საზოგადოებრივ სისტემაში, მოულოდნელად პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა“ (Дзюба, 2008, с. 8).

როგორც თანამედროვე უკრაინული სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, კიევის უნივერსიტეტის ყვითელ კორპუსში (*გილოლოგიის ფაკულტეტი*) იყო თარგმანის ჯგუფის აუდიტორია, სადაც იკრიბებოდნენ ცნობილ მთარგმნელსა და თეორეტიკოსთან, ვიქტორ

კოპტილოვთან, მხატვრული თარგმანის შესახებ მსჯელობისთვის. სტუდენტები ამ აუდიტორიას „კოპტილკას“ უწოდებდნენ. „კოპტილკა“ გახდა სიმბოლური თავშეყრის ადგილი, სადაც „ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზდა ჩანაფიქრი – მთარგმნელთა კადრების მომზადების საქმე გამოსულიყო ტრადიციული ევროპოცენტრიზმის ფარგლებიდან და მოეცვა აღმოსავლეთის რეგიონის კულტურებიც (აღმოსავლეთმცოდნეობა უნივერსიტეტში მოგვიანებით, 90-იან წლებში აღორძინდა¹) (Грицик, ...Він один із публіки... Професор В.В. Коптілов, 2021).

ამ ფაქტების გაანალიზება იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი უკრაინაში მხატვრული თარგმანის ხარისხის საკითხი. ეს შეეხო ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ წყვილსაც – მასში გამჭოლად აირეკლა უკრაინული მხატვრული თარგმანის კულტურის განვითარების ზოგადი დინამიკა. ეს განვითარება უწინარესად გულისხმობდა მაღალპროფესიონალური მთარგმნელების მომზადებასა და ჩართვას პროცესში. ამ გზით ნელ-ნელა განიდევენ საბჭოთა მანკიერი პრაქტიკა – რუსული (შუალედური) ენიდან თარგმანთა შესრულება. ასეთ ტექტებში დიდი იყო დანაკარგები და ზარალდებოდა ორიგინალი, ან სულაც მახინჯდებოდა. ქართული მწერლობის უკრაინული თარგმანების ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადასვლისა და გაუმჯობესების სათავეებთან გვევლინება გრიცკო ხალიმონენკო. როგორც ინტერვიუში აღნიშნა, იმ დროს, როდესაც თვითონ გამოდიოდა მთარგმნელობით ასპარეზზე უკრაინაში, „ინგლისურ თუ ფრანგულ პოეზიას, ე.წ. „დასავლურს“, თარგმნიდნენ ისინი, ვინც ფლობდა ამ ენებს. ხოლო – ქართულს, სომხურს, უზბეკურს, ყაზახურსა და სხვებს, როგორც იტყვიან, ვის ხელშიც მოხვდებოდა, ისინი. ქართული ლიტერატურა უკრაინაში აქტიურად ითარგმნებოდა, მაგრამ ხარისხიანი თარგმანები არცთუ ისე ბევრი იყო“ (Халимоненко, 2021, გვ. 6). ეს მნიშვნელოვანი ლაკუნა შეავსეს გრიცკო ხალიმონენკომ და თავისი თაობის უკრაინელმა ქართველოლოგებმა.

უკრაინასა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის სტუდენტების გაცვლის პირველი დიდი შედეგი იყო 1970 წელს, ქ. კიევში, გამომცემლობა „მოლოდის“ მიერ დაბეჭდილი თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია „მზის მტევანი“. ანთოლოგიაში შევიდა – შოთა ნიშნიანაძის, ბესიკ ხარანაულის, ტარიელ ჭანტურიას, თამაზ და

¹ რადგან საბჭოთა უკრაინაში მედიევისტიკა და აღმოსავლეთმცოდნეობა ნაკლებად პერსპექტიულად მიიჩნეოდა.

ოთარ ჭილაძეების, ლია სტურუას, ვახტანგ ჯავახაძის, გენო კალანდიას, ჯანსუღ ჩარკვიანის, ნია აბესაძის, მედეა კახიძის, მორის ფოცხიშვილის, ტარიელ ჭანტურიას და სხვა ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსების უკრაინული თარგმანები. მთარგმნელებად გვევლინებიან სწორედ აღნიშნული პროექტის შედეგად მომზადებული ქართველოლოგები – ლუდმილა ჰრიციკი, გრიცკო ხალიმონენკო, სვიტლანა ჟოლობი, საქართველოდან კიევის უნივერსიტეტში წარგზავნილი რაულ ჩილაჩავა; ასევე უკრაინელ სამოციანელთა თაობის საკულტო პოეტები – დმიტრო პავლიჩკო, ვიტალი კოროტიჩი, ივან დრაჩი (Сонячне гроно. Молода грузинська поезія, 1970).

ამ ანთოლოგიის შესახებ მწირი ცნობები არსებობს. თუმცა მისი როლი და მნიშვნელობა ლიტერატურული დიალოგის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ მან დაუდო სათავე ქართულ-უკრაინული მხატვრული თარგმანის ხარისხობრივად ახალ ტრადიციას. ეს კი უკვე ახალი კადრების დამსახურება იყო. აღნიშნული კრებულის შესახებ მასალების უქონლობის გამო, ინტერვიუ ჩაწერე მის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესთან, მთარგმნელთან, უკრაინელ ქართველოლოგთან, ლუდმილა ჰრიციკთან:

„საქართველოში სწავლის დასრულების შემდეგ, კიევში დაბრუნებული მივედი გამომცემლობა „მოლოდის“ პოეზიის რედაქციაში, სადაც ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგიაზე გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა. წლების განმავლობაში სხვა ენებიდან თარგმანების მსგავსი კრებულები აქტიურად განიხილებოდა ხოლმე ლიტერატურული გამოცემების ფურცლებზე. „ოქროს მტევნის“ წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია დაკვირვებულმა თვალმა ვერ შეამჩნიოს წინა გამოცემების შედეგად დაგროვებული გამოცდილების ანაბეჭდი, ეს არ ეხება მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ბაჟანისეულ თარგმანს, ამ გამოცდილებაში იგულისხმება ასევე მაგალითად, ი. კულიკის მიერ თარგმნილი ბარათშვილის პოეზია, პავლო ტიჩინას და გიორგი ნამორაძის თანამშრომლობა, ქართული ენიდან მთარგმნელების ის გამოცდილება, რომელიც ხარკოვში გამომავალი პერიოდიკის ფურცლებზე იბეჭდებოდა. ანთოლოგიას ასე აფასებდნენ საქართველო-სა და უკრაინაში – ეს გახდა „ჩვენი, არა უცხო, არამედ საკუთარი, სიხარული“ – მ. რილსკი, „თაობის ლიტერატურული პროფილი“ – რ. მიშველაძე. ეს შეიგრძნობოდა ქართული პოეზიის მუსიკა-

ლურობაშიც კი. მახსოვს, როგორ ჩაეყარა საფუძველი მთარგმნელთა კადრების მომზადებას. როგორ არწმუნებდა აკადემიურ საბჭოს მაშინ ჯერ სულ ახალგაზრდა პროფესორი, თარგმან-მცოდნე, ვიქტორ კოპტილოვი, რომ ამგვარ კადრებზე *(იგულისხმება ქართული ენიდან მთარგმნელთა მომზადება, ი.მ.)* მო-თხოვნა იყო და იქნებოდა კიდევ.

XX საუკუნის 60-70 წლების ლექსებით „მზის მტევანში“ ისეთი პოეზია წარმოჩნდა, რომელიც ტიპოლოგიურად მსგავსი იყო და ორგანულად შეერწყა უკრაინულ პოეზიას ახალი ფორმების ძიებების, მსგავსი თემატიკის გაჟღერებით. ამ ანთოლოგიის სახით შესაძლებელი გახდა დისკუსიების გამართვა სა-თარგმნის მასალის შერჩევის, მხატვრული თარგმანის ტექნიკისა და სხვ. პრობლემათა შესახებ.

თავს უფლებას მივცემ ვისაუბრო ამ ანთოლოგიის ერთ-ერთი შემსრულებლის, მონაწილის, სახელით. როდესაც საქარ-თველოდან დაბრუნებული მივედი გამომცემლობაში, როგორც უკვე აღვნიშნე, „მზის მტევანზე“ მუშაობა დუღდა. უკვე ყველა-ფერი განსაზღვრული იყო – ავტორები, მთარგმნელები, ტექსტე-ბი. რაც ყველაზე თვალშისაცემი იყო, თითოეულ ავტორის „თა-ვისი“ მთარგმნელი ჰყავდა, კარგი იყო თუ ცუდი ეს? ვფიქრობ, კარგი. უკვე იყო შემდგარი თავისებური „დუეტები“ – თამაზ ჭილაძე – დმიტრო პავლიჩკო, ოთარ ჭილაძე – ივან დრაჩი, იზა ორჯონიკიძე – ივან დრაჩი და სხვ. თარგმანთა უმეტესობა ან ორიგინალიდან იყო შესრულებული, ან თავად ავტორების მიერ მომზადებული პწკარედების საშუალებით. ანთოლოგია მზად-დებოდა იმ დროს, როდესაც უკრაინაში გამოჩნდა ქართული სიტყვის მცოდნე მთარგმნელთა თაობა. მათი თარგმანები სხვე-ბისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მათში ყველაზე უკეთ იყო შენარჩუნებული „ორიგინალის ხმა“, ქართული სიტყვის მუსიკა-ლურობა. ვგულისხმობ – რაულ ჩილაჩავას, გრიცკო ხალიმონენ-კოს, სვიტლანა ჟოლობის თარგმანებს. „მზის მტევანში“ დამწყები პოეტების ლექსებიც იყო შესული. უკრაინელ ქართველოლოგებს, რომლებიც თსუ-ში ვსწავლობდით, არაერთხელ გვსმენია მათი პოეზია ვაკეში, სტუდენტურ საცხოვრებელში. ეს იყო – ე. კვიტა-იშვილის, რ. ჩილაჩავას, მ. გველესიანის. შ. ქავთარაძის ვ. ჩხიკ-ვიძის, გივი ალხაზიშვილის ლექსები. დრომ ჩვენცა და ჩვენი

გემოვნებაც შეცვალა, თუმცა ეს კრებული ღირსეულად ჩაეწერა ჩვენი კულტურების ისტორიის ნაწილად.

სწორედ ამ ანთოლოგიაში დაიბეჭდა გრიცკო ხალიმონენკოს პირველი პოეტური თარგმანები. მის მიერ თარგმნილი პირველი ქართველი ავტორები არიან: თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გივი ალხა-ზიშვილი, ლია სტურუა, მურმან ჯგუბურია, ტარიელ ჭანტურია, თამარ ერისთავი, ვაჟა დოლბაია, ნია აბესაძე. მას თავისი თაობის პოეტების გარდა სხვა ქართველი ავტორების – ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანის ლექსებიც უთარგმნია უკრაინულ ენაზე. სხვადასხვა დროს თარგმნილი და პერიოდიკაში გაბნეული ეს ტექსტები დღეს უკვე ხელმისაწვდომია რაულ ჩილაჩავას მიერ 2005 წელს შედგენილ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში „ოქროს ვენახი“ (Виноградник., 2005). გ. ხალიმონენკოსვე ინიციატივით, რედაქტორობითა და წინასიტყვაობით 1989 წელს, კიევში გამოიცა საიათნოვას პოეზიის უკრაინული თარგმანების კრებული, ქართული ენიდან თარგმანები თავად შეუსრულებია.

პოეზიაში გრიცკო ხალიმონენკოს ოსტატობის უმაღლეს საფეხურად მიმაჩნია გიორგი ლეონიძის ყივჩაღის პაემანისა და „ღამე ივერისას“ თარგმანები. საილუსტრაციოდ მოვიხმობ ერთ სტროფს, რომელიც ნამდვილად ბადებს მსგავს ემოციას, რაც ორიგინალშია:

დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ
თარებს,
მეტეივები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა
მთვარე.

Горить Іверія злото пожаром,
Деся понад плесом плотар співає.
Край Мткварі верби грають на тарі,
В калюжі місяць тихо дрімає...
(Виноградник., 2005, с. 157).

თარგმანმცოდნეობაში ადეკვატურობა და ეკვივალენტურობა ნორმატიული კატეგორიებია. თეორიაში აღიარებულია, რომ ნათარგმნი ტექსტი სათარგმნი ენის ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. ამ სტრიქონებში ენობრივი/ლექსიკური შესაბამისობების დონე ფაქტობრივად მაქსიმალურადაა დაცული, მცირე გადახვევები პოეტური თარგმანში ემოციური ელფერის შესანარჩუნებლად. აღნიშნული ინტენცია ახლოს დგას ნ. გარბოვსკის მოსაზრებასთან: „მკითხველს სჯერა, ორიგინალის ავტორმა ყველაფერი ისე დაწერა, როგორც ეს თარგმანში მოცემული“. იმავე ნ. გარბოვსკის მიხედვით: „მთარგმნელი თვითონ

განსაზღვრავს თავისი პასუხისმგებლობების საზომებს როგორც ორიგინალის ავტორის, ისე მკითხველის წინაშე, იგი თავად იმუშავებს ორიგინალისა და ნათარგმნ ტექსტებს შორის შესაბამისობათა საკუთარ ნორმებს“ (Гарновський, 2004, стр. 311-312). მის მიერ შესრულებული თარგმანების შესწავლა იძლევა შეფასების საშუალებას – ქართული კულტურის საუკეთესო მცოდნემ, გრიცკო ხალიმონენკომ, შეიმუშავა კულტურათაშორისი განსხვავებების დაძლევის, ორიგინალსა და სათარგმნ ტექსტებს შორის შესაბამისობათა საკუთარი ნორმები, რამაც მისი ორიგინალური სტილი ჩამოაყალიბა.

ხალიმონენკოს მთარგმნელობითი ოსტატობის, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის საილუსტრაციოდ მოვიხმობ მის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად აღიარებულ „სალამურას თავგადასავალის“ უკრაინულ ვერსიას. ამ ტექსტსა და მის უკრაინულ ვერსიაში თეორიული დაკვირვებებისთვის მრავალი შრე შეიძლება გამოიყოს. აქ საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ასპექტს წარმოვაჩენთ, რომელიც კარგად აჩვენებს მთარგმნელის ოსტატობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს „*სამყაროს ორ სემიოტიკურ მოდელს შორის განსხვავებების დაბალანსებას/დაძლევას, კულტურულ ადაპტაციას*“ (მოდებაძე, 2019, გვ. 78).

„სალამურას თავგადასავალში“ სახასიათოა სპეციფიკური ონომასტიკური ლექსიკა, რომლის უცხო ენაზე გადატანა დასაძლევ დისტანციათაგან ერთ-ერთია. არჩილ სულაკაურის მიერ შექმნილი პერსონაჟთა სახელები თარგმანმცოდნეობაში დამატებითი ფუნქციის მქონე, ანუ „მოლაპარაკე“ სახელებადია ცნობილი. ამდენად, თეორიაში აღნიშნულია, რომ „მოლაპარაკე“ სახელი თარგმანშიც უნდა ლაპარაკობდეს“ (წიბახაშვილი, 2000, გვ. 77-49). ქართული ენისა და კულტურის გამორჩეულმა მცოდნემ, გრიცკო ხალიმონენკომ, მთარგმნელობითი ოსტატობისა და ნიჭის წყალობით მოახერხა ქართული სახელები ისე გადაეტანა, რომ „განსხვავებულ კულტურულ ველებს შორის“ ბალანსი მაქსიმალურად დაეცვა.

მაშასადამე, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სათაური, სალამურა, სადაც -ა სუფიქსი ფუნქციური დატვირთვითაა და სიტყვას ჰმატებს კონოტაციას, რომ ეს არის ბიჭი, რომელიც სალამურს უკრავს, უკრაინულად გადაიტანა როგორც – **Сопілкар**. **Сопілка** უკრაინულად სალამურია, ხოლო ის, ვინც სალამურს უკრავს **Сопілка**, **ик**- კნინობითი სუფიქსის დართვით გამოხატა ის კონოტაციური ველი, რაც

ქართულში აქვს -ა სუფიქსი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა ამ ფორმით მთარგმნელის შექმნილია და არ გამოიყენებოდა უკრაინულ ენაში.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს **ქონდარეთი/ქონდრისკაცის** გადატანის შემთხვევასაც. ცნობილია, რომ ქართულ კულტურულ მენტალობაში ქონდრისკაცი პატარას, ტანმორჩილს აღნიშნავს. ორივე კულტურის, ენისა და სამყაროს ენობრივი ხატების კარგად მცოდნე მთარგმნელმა ამ ტერმინის შესაქმნელად, ფუნქციურ ეკვივალენტად თავად შექმნა ნეოლოგიზმი **Маніпанство** – ქონდარეთი. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ასეთია – **маніпуній** – მოდის სიტყვიდან პატარა, ციცქნა, ერთი ბეწო – **манюній, маніпуній, маніпусінький**, ეს ფორმები ძირითადად სასაუბრო უკრაინულ ენაშია გავრცელებული, თუმცა როგორც ძიებამ აჩვენა, მსგავსი ფორმა კლასიკურ უკრაინულ პოეზიაშიც ფიქსირდება (ტარას შევჩენკოს ცნობილ ლექსში „**Наймичка**“ *Випручало рученята Й до їх простягає Манюсінькі... і замовкло, Неначе не плаче, Тільки пхика.*), ამდენად ქართული ტექსტის პერსონაჟის სახელის გადასატანად მთარგმნელმა მოარგო უკრაინულ კულტურულ მენტალობას და თან ისე, რომ მოახერხა უცხოკულტურული ეგზოტიკის შენარჩუნებაც. მსგავს მიდგომას იყენებს ასევე ერთ-ერთი პერსონაჟის, სირბილას, სათარგმნელად. უკრაინულად **სირბილა** გადაიტანა როგორც **Побігайчик**. მსგავსი ფუნქციის მქონე პერსონაჟი, რომელიც უკრაინულ კულტურულ მენტალობაში სირბილთან, მორბენალთანაა დაკავშირებული, არის ხალხური ზღაპრის „*Рукавичка*“ პერსონაჟი **Зайчик Побігайчик**, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტექსტში სირბილა ადამიანია, მისი ფუნქცია უახლოვდება უკრაინული ზღაპრის პერსონაჟისას, მაშასადამე დომსეტიკაციის ეს ფორმა სრულიად მისაღებია და კულტურათაშორისი დისტანციის დაბალანსების წარმატებულ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს. საინტერესოა აგრეთვე ტექსტის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ბაიას, უკრაინულად გადატანის ხერხიც. იგი ხალიმონენკომ გადაიტანა როგორც *Рутивця*. *Рутивця* – უკრაინულ ენაზე ბაიასებრთა ოჯახის ერთ-ერთ ყვავილს აღნიშნავს.

უკრაინულად თარგმნილ ტექსტში არის პერსონაჟთა სახელების ზუსტი თარგმანების, ანუ აბსოლუტური ეკვივალენტების, შემთხვევებიც **ქარბორბალა - вітрокрутий; აგამენონ შუბლა - Агаменон Лобенко, კვანტი დაუდე - Підніжка, суток-гуток – დაჰკა-დაჰკა, місій тісто** – ცომიხელია (Сулакаური, 1971). თითოეული ეს სახელი, ისევე შექმნა უკრაინულ ენაზე მთარგმნელმა, როგორც ეს განახორციელა ავტორმა ორიგინალში. მორის ბლანშო აღნიშნავდა: „მთარგმნელი განუმეორე-

ბელი ორიგინალობის მწერალია, თუმც ამას თითქოსდა სულაც არ იჩემებს. იგი ენობრივ სხვაობათა იდუმალმეტყველია. მისი ამოცანაა ამ სხვაობათა არა წაშლა, არამედ გამოყენება, რათა მკვეთრი ან უსათუ-თესი რხევებით მშობლიურ ენაში დაბადოს იმის განცდა, რითაც აღ-ბეჭდილია იმთავითვე განსხვავებული დედანი“ (ბლანშო, 2015, გვ. 440).

ნაწარმოების კიდევ ერთი პერსონაჟის სახელი *კინა ლოკო*, რომელიც არჩილ სულაკაურმა ლოკოკინას მარცვლების შებრუნებით შეადგინა, მთარგმნელმა უკრაინულად გადაიტანა *Пашка чере*. აქ მხოლოდ სიტყვის, სახელის შექმნის ხერხი გაიმეორა მთარგმნელმა, თუმცა შინაარსი სრულიად შეცვლილია, დედანში ლოკოკინაა შებრუნებული, თარგმანში კი დამარცვლით შებრუნებულია – კუ. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომად, მხოლოდ ავტორის მიდგომასთან მიახლოების გამოხატულებაა.

თარგმანმცოდნეობაში დიდი ხანია აღიარებულია, რომ „მთარგმნელმა ზუსტად და სრულად უნდა გადმოსცეს დედანი, მისი სტილი და ექსპრესიული თავისებურებები“ (Рецкер, 1974, стр. 7). ცალკე კვლევის საკითხია, ორიგინალის სტილის გადატანა თარგმანში, რომელსაც ასევე ოსტატობით ახორციელებს გრიცკო ხალიმონენკო.

1968 წელს, როდესაც ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, მან უკრაინულად თარგმნა თამაზ ჭილაძის ორი მოთხრობა – „შუადღე“ და „ვინც ცხოვრობს ვარსკვლავებზე“. მისი უკანასკნელი ინტერვიუდან ისიც ირკვევა, რომ უკრაინელ მთარგმნელს თამაზ და ოთარ ჭილაძეებთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მათ შესახებ ხალიმონენკო იგონებს – კიევიდან რომ ჩამოდიოდა თბილისში, ყოველთვის იკრიბებოდნენ ჭილაძეებთან.... მხოლოდ რამდენიმე ლექსის თარგმნა მოუსწრია თამაზისა და ოთარის, რომანების შესახებ კი დანაწევრებით აღნიშნავს ინტერვიუში: „როდესაც ოთარის რომანების გამოქვეყნება დაიწყო, მე უკვე მათი თარგმნა აღარ შემეძლო: ჩემი სახელი და გვარი აკრძალული ავტორების სიაში იყო. ინტერვიუში ირონიულად აღნიშნავს, რომ 1973 წლიდან 1980 წლამდე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბრალდებით აკრძალულ ავტორთა სიაში იყო მოხვედრილი (Халимоненко, 2021, გვ. 7).

ცნობილია, რომ სამოციან წლებში უკრაინაში დაიწყო დისიდენტური მოძრაობის უზარმაზარი ტალღა, სერგო ფარაჯანოვის ფილმის „მივიწყებულ წინაპართა ჩრდილების“ პრეზენტაციიდან, რომელმაც მასშტაბური სახე მიიღო. უკრაინული დისიდენტური მოძრაობა ერთ-

ერთი მასშტაბურია ანტისაბჭოთა მოძრაობების ისტორიაში. ხალიმონენკოს ბიოგრაფიის ეს ნაწილი ყოველთვის მიჩქმალული იყო და მასზე არასდროს გამახვილებულა ყურადღება. აღნიშნულ ინტერვიუშიც მხოლოდ გადაკვრითაა ნახსენები. შედარებით უფრო დეტალურად გასაანალიზებლად, სამწუხაროდ, ფაქტობრივი მასალა/წყაროები ხელმიუწვდომელია, ან შესაძლებელია სულაც არ არსებობდეს. საკითხში მეტი სიცხადის შესატანად, კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდიც, რომელიც Key informant interview შეიძლება მიემსგავსოს. ხალიმონენკოსა და მისი ბიოგრაფიის ნაკლებადცნობილი ფაქტების შესახებ წერილობითი ინტერვიუ ჩავწერე მის კოლეგასა და მეგობართან, აკად. რაულ ჩილაჩავასთან:

„დისიდენტური მოძრაობა დიდ რისკთან დაკავშირებული იატაქვეშა საქმიანობა იყო. მე რომ კიევში ჩავედი, გრიცკო უკვე თბილისში სწავლობდა. იგი, შეიძლება ითქვას, გამოექცა უშიშროების დევნას, როგორც ეს 30-იან წლებში მიკოლა ბაჟანმა გააკეთა. რაც არ უნდა თქვან, საქართველოში *კაგებე* ისე მაინც არ მძვინვარებდა, როგორც უკრაინაში. გრიცკოს მონაყოლიდან ვიცი, რომ იმ წლებში თავის დისიდენტ მეგობრებს კიევში აწვდიდა ცნობებს ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაზე, მის სიახლეებზე, მათზე, ვინც კრიტიკულად უყურებდა არსებულ ხელისუფლებას. ეტყობა, ეს არ გამოპარვიათ კიეველ „მეთვალყურეებს“ და იგი არასაიმედოთა სიაში შეიყვანეს. თბილისში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი დიდხანს უშედეგოდ ეძებდა სამსახურს, ვერ ახერხებდა თარგმანების გამოქვეყნებას და დისერტაციის დაცვას. იყო პერიოდი, როცა გრიცკო საერთოდ გაქრა ჩემი თვალთახედვიდან და მხოლოდ 80-იანი წლების დამდეგს გამოჩნდა. განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა იმ წლებში არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავლის“ თარგმანი, სადაც ჩანს ქართული და უკრაინული ენების უზადო ფლობა ერთდროულად. ცნობილია, რომ „სალამურას“ ბევრი უცნაურსახელიანი პერსონაჟი ჰყავს და მათ უკრაინიზებას დიდი გონებამახვილობა სჭირდებოდა. გრიცკომ ეს მშვენივრად მოახერხა. ეს წიგნი მან ჩემს პატარა ბიჭუნებს ასეთი გალექსილი წარწერით უძღვნა:

Дуже, дуже я люблю
Чілачаву батька,
Але книжку я дарю
Чілачавеняткам.

ქართული ტექსტების თარგმნისას გრიცკო ზოგჯერ ტელეფონით მეთათბირებოდა ამა თუ იმ წინადადების კონტექსტზე, ცალკეული სიტყვების სინონიმებზე. განსაკუთრებით ხშირად მირეკავდა, როცა „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარ პროზაულ-პოეტურ თარგმანზე მუშაობდა. მე მაშინ სწორედ სადოქტორო დისერტაციას ვწერდი „ვეფხისტყაოსნის“ მიკოლა ბაჟანისეულ თარგმანზე და, როგორც იტყვიან, „თემაში ვიყავი“.

გრიცკოს ქართულიდან თარგმანებს შორის საუკეთესოა სწორედ ჩვენი დიადი პოემისა და ზემოთხსენებული „სალამურას“ თარგმანი, რომლებიც გამოირჩევა დედნებთან მაქსიმალური სიახლოვით, ენობრივი და სტილისტური დახვეწილობით.

ცნობილია, რომ გრიცკო ხალიმონენკოს ეკუთვნის შემაჯამებელი, ვრცელი გამოკვლევა, „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (გამოიცა კიევში 2020 წელს). ამ მართლაც უნიკალური ნაშრომის შესახებ ინტერვიუში აღნიშნა: „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ დაწერის იდეა მაშინ დამებადა, როცა პირველი თარგმანები დავბეჭდე. ახლა ვფიქრობ, რომ ეს თარგმანები უკვე მომავალი ლიტერატურის ისტორიის ნაწილი იყო. თუმცა ისიც ძალიან კარგად მესმოდა, რომ ვიდრე საბჭოთა კავშირი იარსებებდა, ნორმალურად დაწერილი ისტორიის გამოცემას ვერ შევძლებდი“ (Халимоненко, 2021).

გრიცკო ხალიმონენკოს მთარგმნელობით საქმიანობას თუ განვაზოგადებთ ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის კონტექსტში, თავისუფლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მისმა სტილმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქართულიდან უკრაინულად თარგმნის ტრადიციების ჩამოყალიბება და დახვეწა.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების თარგმანებში, რომელიც წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო უკეთესი ტექსტებია, გვხვდება ეგზოტიზმების, ქართული რეალიების გადატანის ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდის გამოყენება, რომელიც სრულყოფილადაა განმარტებული სქოლიოებში/კომენტარებში. ორიგინალის კოლორიტის შესანარჩუნებლად ამავე ხერხს ირჩევს, ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვების

გადატანისას. მაგალითად, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის ხალი-მონენკოსეულ უკრაინულ თარგმანში ვკითხულობთ: **Ні, ні, Батоно, грайте, тквені чірі ме.** ამას კომენტარებში განმარტავს შინაარსობრივად და სიტყვასიტყვითაც: *Тквені чірі ме- шабლოве звертання, буквально: ваше лихо мені; Кацо – панібратське звертання, буквально: чоловіче;* (1986, сс. 286-289). როგორც აღნიშნული ეპოქის თარგმანების შესწავლა გვაჩვენებს, ამგვარი მიდგომა ზოგადი ტენდენცია ყოფილა და ასე თარგმნიდნენ თავისი თაობის სხვა მთარგმნელებიც – რ. ჩილაჩავა, ო. სინიჩენკო, ლ. ჰრიცივი, ნ. ბილიჩენკო....

საბჭოთა დისკურსში, სლავურ ენებზე *საქართველოს* ტრანსლიტერაცია არც ისე პოპულარული და მიღებული ფორმა იყო. სლავურ კულტურულ მენტალობაში დამკვიდრდა მეტროპოლიის ენის გავლენით (*Грузия-Грузія...*). გრიცკო ხალიმონენკო ამითაც გამორჩეული იყო, რომ ის თავის თარგმანებში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელად იყენებდა ტრანსლიტერაციას (*Сакартвело, картвели...*) ასე მაგალითად, ქართული ენიდან მისი ერთ-ერთი უადრესი თარგმანია თამაზ ჭილაძის ლექსი „ლესია“. ორიგინალი ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1954 წელს გამოცემულ ანთოლოგიაში „ქართველი მწერლები უკრაინას“. სავარაუდოდ, მან ეს ლექსი 60-იან წლებში თარგმნა. „Усмішка подих мені давала, То чи ж помру я у Сакартвело“ (Виноградник., 2005, с. 238).

„ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ თარგმნილ ადაპტირებულ პროზაულ ვერსიაში (*დაიბეჭდა საბავშვო და მოზრდილთა ბიბლიოთეკის სერიის ეგიდით*), პროლოგი პოეტურად უთარგმნია, დანარჩენი პროზაულად. პროლოგის პოეტურ თარგმანში ასე გადმოაქვს – „Повість перська ця – перестав на картвельську славу мову“ (Руставелі, 1991, с. 7). თუმცა პოემის უკრაინულად თარგმნის ტრადიციაში ეს ხალიმონენკოს შემოტანილი არაა, ასე გადმოიტანა მიკოლა ბაჟანმაც თავის ბოლო გამოცემაში, რომელიც წინ უსწრებს ხალიმონენკოს ვერსიას.

ცალკე კონცეპტუალური კვლევის საგანია მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ამ ტექსტში იგი ხშირად მიმართავს ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციისა და კომენტირების ხერხს. ეს უმეტესად აღმოსავლურ რეალიებს ეხება. მაგალითად: „Серед всіх чуттів найвище є кохання міжнуроба / Важко висловити в мові те чуття – оце лиш спроба“..... Слово те, міжнур – арабське, то „закоханий“, „шалений“/Недосяжна йому мила, через те він навіжений... (Руставелі, 1991, с. 7).

Міджнуроба – етично-естетична категорія кохання у східній філософії та літературі (михнური- აღმოსავლურ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში ტრფობის ესთეტიკურ-ეთიკური კატეგორია) ასევე გადმოაქვს და შემდეგ განმარტავს აღმოსავლური ეგზოტიკის აღმნიშვნელ სხვა სიტყვებსაც – Вазір, спаспет, Нарди, дарбазობა, ამავე ხერხს მიჰყვებიან სიტყვები – Каджі, Кабача... (Руставелі, 1991, сс. 185-186). ვფიქრობ, ამ გზით „ვეფხისტყაოსანის“ ეს ადაპტირებული, პროზაულად გადაკეთებული თარგმანი უკრაინელ მკითხველზე (*ამ შემთხვევაში მოიაზრება ბავშვები, მოზრდილები*) აღმოსავლური ლიტერატურის შთაბეჭდილებას აძლიერებს. თუმცა შესავალშივე აღნიშნავს სიუჟეტის სპეციფიკას, ამ გავრცელებულ ტრადიციას ევროპულ ლიტერატურაში და მის მსგავსად ხსნის მკითხველისთვის აღმოსავლურ რეალიების არსებობას ტექსტში, საგანგებოდ განმარტავს სტრიქონს – *ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები* და მიუთითებს, რომ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია და რუსთაველი იყენებდა სწორედ სიუჟეტის გაუცხოების გავრცელებულ ტრადიციას (Руставелі, 1991, с. 5).

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ გრიცკო ხალიმონენკოს ეკუთვნის ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანები უკრაინულ ენაზე. მან შეასრულა 25-მდე ზღაპრის თარგმანი, ამიტომ შეუძლებელია ერთი პუბლიკაციის ფარგლებში ყველას გაანალიზება. ზოგადი პარადიგმის შესამუშავებლად განვიხილავ „სიზმარას“ უკრაინულ ვერსიას. აღსანიშნავია, რომ ხალხური ზღაპრების შემთხვევაში ე.წ. „მოლაპარაკე“ სახელებს არ თარგმნის, განსაკუთრებით როდესაც ეს სახელები სათაურებიცაა. ტრასლიტერაციით გადმოაქვს და განმარტავს მათ მნიშვნელობებს (*Сізмара, Ірміса*). თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, ქართული ზღაპრის ტრადიციული დასაწყისის „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა ...“ უკრაინულად გადასატანად ქმნის კულტურული მენტალობისთვის გასაგებ ნაწილობრივ ეკვივალენტს „Був собі...“. მაგალითად „სიზმარას“ ასე იწყებს – Був собі один хлопчик і мав люту-прелюту мачуху (გვ. 59). საინტერესოა ცალკეული კონცეპტების უკრაინულად გადატანა. მაგალითად, მზეთუნახავი – Красуня дочка, ხარო – глибока яма, მადრიბის ხელმწიფე – Східний цар. თუმცა უდავოდ აღსანიშნავია, რომ ამ ზღაპრების თარგმანებში გაცილებით მეტი გამოტოვების შემთხვევა გვხვდება, ვიდრე სხვა მხატვრული ტექსტების თარგმანებში. შესაძლებელია იმიტომაც,

რომ ეს ზღაპრები მისი საქმიანობის შედარებით დასაწყის ეტაპზე იყო შესრულებული და უფრო თავისუფლად უდგებოდა დედანს.

„სიზმარაც“ დატვირთულია ე.წ. *მოლაპარაკე სახელებით*, რომელთა თარგმანშიც ხალიმონენკო იყენებს საკუთარ მთარგმნელობით ხერხს, ქმნის სრულ ეკვივალენტებს. მაგალითად: *Річковипивайло* – წყალიყლაპია, *Усечувайло* – ყურმახვილი... ზღაპრის დასასრულიც შეკვეცილია, გამოტოვებულია ის ეპიზოდები, სადაც საუბარია მღვდელზე. სავარაუდოდ, ეს კუპიურაა და ცენზურის მიერაა ამოღებული. თუმცა ამ ფაქტის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება, ეს მხოლოდ ვარაუდია. თავის ბოლო ინტერვიუში მთარგმნელი ჰყვება, თუ როგორ აკრძალა 70-იან წლებში უკრაინულმა საბჭოთა ცენზურამ მის მიერ შესრულებული თარგმანი რევაზ ინანიშვილის მოთხრობისა „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“ მხოლოდ ერთი ფრაზის გამო. შესაძლებელია ქართული ხალხური ზღაპრების თარგმანში ეს გამოტოვებებიც ცენზურის ჩარევის შედეგი იყოს, მთარგმნელი ისედაც უკვე ეჭვმიტანილი და შემდეგ დადანაშაულებულიც იყო „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში“. ქართული ხალხური ზღაპრების ეს კრებული 1971 წელს გამოიცა კიევში, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა „ვესელკას“ მიერ (1971, cc. 59-65).

როგორც ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიაშია აღნიშნული „ნათარგმნი თხზულებები კარგად ასახავენ ამა თუ იმ ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკურ თუ იდეურ მოთხოვნებს“ (გაფრინდაშვილი, 1992, გვ. 21). გრიცკო ხალიმონენკოს მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლამ გამოავლინა როგორც მთარგმნელის ოსტატობა, მისი ინდივიდუალური სტილი თუ კულტურული კომპეტენცია, ისე – შესაბამისი ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნები.

კვლევამ აჩვენა, რომ თბილისისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბებული სპეციალისტები ნამდვილად წარმოადგენენ ტრანსფერის აგენტებს ქართულ-უკრაინულ კულტურულ კონტექსტში. თუმცა, ამას კულტუროლოგიურის გარდა სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა და აქვს. ქართულ-უკრაინული მთარგმნელობითი ურთიერთობების შესახებ მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ენისა და კულტურის ცოდნის ხარისხს. კულტურათა დაახლოებაში დიდი როლი როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური კუთხით, ითამაშა რუსულმა, როგორც „ტრანსნაციონალურ ურთიერთობათა უნივერსალურმა ენამ“. მკვლევრები სამართლიანად შენიშნავენ, რომ კულტურული იმპერიალიზმის პირობებში ქართული

ენა იყო „საბჭოთა ეპოქის რუსიფიკატორული პრაქტიკის ერთგვარი ბასტიონი“ (Лекке, М., Чхаидзе, Е., 2018 , стр. 19). და თუკი ამ მსჯელობას კიდევ უფრო განვავრცობთ უკრაინულ ენასთან კავშირში, მაშინ შეიძლება ის შეფასდეს ერთგვარად ბრძოლის ველადაც და ბასტიონადაც როგორც საბჭოთა, ისე ცარისტული იმპერიის პირობებში. ცნობილია, რომ რუსული ენა, როგორც „საბჭოთა მოდერნიზაციისა და ცივილიზატორული მისიის განუყოფელი ნაწილი“ (Лекке, М., Чхаидзе, Е., 2018 , стр. 18). კულტურული იმპერიალიზმის, ჰეგემონიის მექანიზმად გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის ლიტერატურულსა და კულტურულ ცენტრში არ აღიქმებოდა საჭიროდ ნაციონალური ენების ცოდნა ლიტერატურული ურთიერთობების საწარმოებლად. თარგმანებს განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა, რამაც განაპირობა „საბჭოთა ნათარგმნი ლიტერატურის ინდუსტრიის ჩამოყალიბება“ (გუდკოვისა და დუბინის მოსაზრება), ამიტომ პარადიგმატულად მეტროლოპოლიის ენა ჩამოყალიბდა – სწორედ მისი საშუალებით ხორციელდებოდა დანარჩენი რესპუბლიკის ენებზე და ენებიდან თარგმნის პროცესი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით გერმანელი სლავისტები მიდიან მოსაზრებამდე, რომ „რუსული ენა ფუნქციონირებდა არა უბრალოდ როგორც ტრანსნაციონალური, არამედ თითქმის უნივერსალური ენა იყო. იგი გიგანტური გუმბათივით ფარავდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ენებსა და კულტურებსაც (Лекке, М., Чхаидзе, Е., 2018 , стр. 21). მის გიგანტურ ჩრდილში იყო მოქცეული ქართული და უკრაინული კულტურები, ასევე მათ შორის ურთიერთობათა პროცესიც.

თუკი განვიხილავთ პირველ საბჭოთა პერიოდში (პირობითად 60-იან წლებამდე) შექმნილ თარგმანებს, აღმოჩნდება, რომ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი შუამავალი ენის, რუსულის, საშუალებითაა თარგმნილი, რაც ხარისხზე მკაიფიოდ აისახა. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელებად გვევლინებოდნენ საკულტო პოეტები – მიკოლა ბაჟანი, სიმონ ჩიქოვანი, ლინა კოსტენკო, გიორგი ლეონიძე...

ამდენად, 1960-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში, ქართულსა და უკრაინულ უნივერსიტეტებს შორის გაცვლითი პროგრამის შედეგად დახელოვნებული მთარგმნელები და თარგმანმცოდნეები პროფესიონალურად ანაცვლებდნენ რუსული ენის ე.წ. soft power ფაქტორს, რამაც გააუმჯობესა ზოგადად თარგმანის კულტურა. ამ საკითხში სტატიაში განხილული მთარგმნელი საპატიო ადგილს იკავებს.

გრიცკო ხალიმონენკოს საქმიანობის გასაანალიზებლად განხილული იყო ქართული და უკრაინული კულტურული პროცესების ის ასპექტები, რომლებმაც განსაზღვრა აღნიშნული პერიოდის როგორც თარგმანის კულტურა, ისე ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები და სპეციფიკა. ტრანსლატოლოგიისა და კულტურათა ურთიერთქმედების თანამედროვე თეორიული მიდგომის, კულტურული ტრანსფერის, მეთოდოლოგიამ ფართო კულტურულ პერსპექტივაში წარმოაჩინა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საბჭოთა პოლიტიკის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, ისტორიები, ლიტერატურული კომუნიკაციების განმსაზღვრელი მთელი რიგი ფაქტორები, რამაც შექმნა დისკურსული კონსტრუქცია *ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები*. ამ დისკურსის განხილვას ყოველთვის ემოციური ელფერი დაჰკრავდა. კულტურისა და ლიტერატურის პრიზმაში რეპრეზენტირდებოდა ერთაშორისი ურთიერთობებისა და მეგობრობის ჰარმონია, ბევრი ისტორია კი ყურადღების მიღმა დარჩა. ხარვეზის შესავსებად კვლევაში გამოყენებულმა წერილობითი ინტერვიუს მეთოდმა გამოავლინა ნაკლებად ცნობილი ისტორიები, ფაქტები.

საილუსტრაციოდ მოხმობილმა მასალის გაანალიზებამ საშუალება მოგვცა განზოგადებულიყო გრიცკო ხალიმონენკოს მთარგმნელობითი საქმიანობა ზოგადკულტურულ კონტექსტში. ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი მთარგმნელობითი ინდივიდუალურობიდან გამოიკვეთა ზოგადი კანონზომიერებები. მათი ერთობლიობის განზოგადების შედეგად ფაქტი შეფასდა პროფესიონალიზმის ახალ ეტაპად უკრაინულ მთარგმნელთა წრეებსა და ქართველოლოგიაში. ათეულობით წლების განმავლობაში არსებულმა მთელმა ამ პროცესმა დღეს უკვე შექმნილი ტრადიციის სახე მიიღო. სამწუხაროდ, ასეთი მდიდარი ტრადიციების მქონე უკრაინული ქართველოლოგია დღეს კადრების ძლიერ კრიზისს განიცდის.

უკანასკნელ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე – საქართველო თქვენთვის არის.... ხალიმონენკომ უპასუხა: „აი, გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, კარგად არც კი ვიცი უკრაინელი ვარ თუ ქართველი. უკრაინაში დავიბადე და უკრაინულ საზოგადოებაში გავიზარდე, პიროვნებად კი საქართველოში ჩამოვყალიბდი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაქანიძე, ო. (2015). *კიევის უნივერსიტეტი – ქართველი ახალგაზრდების სავანე*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ბლანშო, მ. (2015). თარგმანისთვის (თარგმნა ირაკლი კენჭოშვილმა). *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, წიგნი მესამე* (438-443). თბილისი: GCLA Press.
- გაფრინდაშვილი, ნ. (1992). *უცხოეროვნული ლიტერატურისა და სამყაროს აღქმის თავისებურებანი (ისტორიულ-მეცნიერებითი კვლევის ცდა)*. თბილისი.
- მოდებაძე, ი. (2019). გაგება და ინტერპრეტაცია თარგმანში. *ფრანგები საქართველოში და ფრანგული კულტურის რეფლექსია ქართულ კულტურულ სივრცეში (მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე)*. (გვ. 75-84). თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივი, ფონდი 471, ანაწ. 21.
- წიბახაშვილი, გ. (2000). *თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Виноградник., З. (2005). *Антологія грузинської поезії. Упоряд. Р. Чілачава*. Київ: Видавництво "Дніпро".
- Гарбовський, Н. (2004). *Теория перевода*. Москва: Издательство московского университета.
- Грицик, Л. (2021). ...Він один із публіки... Професор В.В. Коптілов. *Вісник Київського національного університету імені Тараса Шевченка. Іноземна Філологія* 1 (53), 92-93.
- Грицик, Л. (1973). Калька чи змістовий відповідник? (Про сучасні українські переклади з грузинської мови). *Радянське літературознавство*, 3 (72-78).
- Грицик, Л. (1973). *Грузинская художественная проза в современных украинских переводах. Автореферат*. Киев.
- Грузинське радянське оповідання. Переклад з грузинської*. (1986). Київ: Видавництво художньої літератури „Дніпро“.
- Грузинські народні казки*. (1971). Київ: Видавництво дитячої літератури „Веселка“.
- Дзюба, І. (2008). „Григорій Кочур. Покликання. Ерудиція. Труд“. Г. Кочур-შო, *Література та переклад, Дослідження, рецензії, літературні портрети, Том 1, упроядники Андрій та Марія Кочури* (7-11). Київ: „Смолоскип“.
- Коптілов, В. (1968). „Життєдайний дружбі – міцніти!“ *. Райдужними мостами. Українсько-грузинський літературні зв'язки*. Київ: Видавництво художньої літератури «Дніпро».

- Лекке, М., Чхаидзе, Е. (2018). Россия – Грузия после империи. Предисловие. *Россия – Грузия после империи. Сборник статей.* (стр. 5-28). Москва: „Новое литературное обозрение“.
- Модебадзе, И. (2015). История одного культурного феномена (перевод: традиция и творческая индивидуальность). *XI საერთაშორისო სიმპოზიუმის „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“, მასალები, ნაწილი II* (441-470). თბილისი.
- Рецкер, Я. (1974). *Теория перевода и переводческая практика.* Москва: „Международное отношения“.
- Руставелі, Ш. (1991). *Витязь у тигровій шкурі. Прозовий переклад з грузинської, передмова та примітки Грицька Халимоненка.* Київ: Веселка.
- Сиваченко, Г. (2019). Культурний трансфер – нова компаративістична методологія вивчення взаємодії культур. *Слово і Час*, 3, 70-81.
- Сонячне гроно. Молода грузинська поезія* (1970). Київ: Видавництво „Молодь“.
- Сулакаури, А. (1971). *Пригоди сопілкаріка. З грузинської переклав Грицько Халимоненко.* Київ: Видавництво дитячої літератури „Веселка“.
- Халимоненко, Г. (2021) 17-18 (5900-5901) წლის 14 სერპნა). „Я на сто відсотків українець і на сто відсотків грузин“ Спількувався Сосо Чочіа. *Літературна Україна*, 6-7.
- Чхаидзе, Е. (2018). *Политика и литературная традиция: Русско-грузинские литературные связи после перестройки.* Москва: Новое литературное обозрение.

References:

- Bakanidze, o. (2015). *K'ievis universit'et'i – kartveli akhalgazrdebis savane.* [Georgian students of Kyiv University]. Tbilisi: Tbilisis sakhelmts'opo universit'et'is gamomtsemloba.
- Blanchot, M. (2015). Targmanistvis (targmna Irak'li K'ench'oshvilma). Lit'erat'uris teoriis krest'omatia, ts'igni mesame [For translation (translated by Irakli Kenchoshvili). Literary Theory Chrestomathy, Book Three (438-443)]. Tbilisi: GCLA Press.
- Chkhaidze, E. (2018). Polit'ika i literaturnaya traditsiya: Russko-gruzinskiye literaturnyye svyazi posle perestroyki. [Politics and Literary Tradition: Russian-Georgian Literary Relations after Perestroika]. Moscow: New Literary Review.
- Dzyuba, I. (2008). “Hrihoriy Kochur. Poklykannya. Erudytsiya. Trud”. H. Kochurshi, Literatura ta pereklad, Doslidzhennya, retsenziyi, literaturni portrety, Tom 1, uproyadnyky Andriy ta Mariya Kochury [“Grigory Kochur. Vocation. Erudition. Labor”. G. Kochur, Literature and Translation, Research, Re-

- views, Literary Portraits, Volume 1, edited by Andriy and Maria Kochura (7-11)]. Kyiv: "Smoloskyp"].
- Garbovsky, N. (2004). *Teoriya perevoda* [Theory of Translation]. Moscow: Moscow University Publishing House.
- Gaprindashvili, N. (1992).). *Utskhoerovnuli lit'erat'urisa da samq'aros aghkmis ta-viseburebani (ist'oriul-shedarebiti k'vlevis tsda)*. [Peculiarities of Foreign Literature and Perception of the World (Historical-Comparative Research)]. Tbilisi.
- Gritsik, L. (1973). *Gruzinskaya khudozhestvennaya proza v sovremennykh ukrain-skikh perevodakh*. Avtoreferat [Georgian artistic prose in modern Ukrainian translations]. Kiyev
- Hrytsyk, L. (2021). ...Vin odyh iz publyky... Profesor V.V. Koptilov [... He is one of the public... Professor V.V. Koptilov]. *Bulletin of the Taras Shevchenko National University of Kyiv. Foreign Philology* 1 (53), 92-93.
- Hrytsyk, L. (1973). *Kal'ka chy zmistovyy vidpovidnyk? (Pro suchasni ukrayins'ki pereklady z hruzyns'koyi movy)* [A calque or a semantic equivalent? (On modern Ukrainian translations from the Georgian language)]. *Soviet Literary Studies*, 3 (72-78).
- Khalimonenko, G. (2021, No. 17-18 (5900-5901) August 14). „YA na sto vidsothiv ukrayinets' i na sto vidsothiv hruzyn“ Spylkuvavsya Soso Chochia. ["I am one hundred percent Ukrainian and one hundred percent Georgian" Soso Chochia was confused. *Literary Ukraine*, 6-7].
- Koptilov, V. (1968). „Zhyttyedayniy druzhbi – mitsnity!“. Rayduzhnymy mostamy.Ukrayins'ko-hruzyns'kyy literaturni zv'yazky. ["To a Life-Giving Friendship – Strengthen!". By Rainbow Bridges. Ukrainian-Georgian Literary Ties. . Kyiv: Publishing House of Fiction "Dnipro".
- Lekke, M., Chkhaidze, E. (2018). *Rossiâ –Gruziâ posle imperii*. Predislovie. Rossiâ – Gruziâ posle imperii. *Sbornik statej*. [Russia – Georgia after the Empire. Preface. Russia – Georgia after the Empire. Collection of articles (5-28)]. Moscow: "New Literary Review",.
- Modebadze, I. (2015). *Istoriâ odnogo kul'turnogo fenomena (perevod: tradiciâ i tvorcheskaâ individual'nost')*. [History of one cultural phenomenon (translation: tradition and creative individuality). *Proceedings of XI International Symposium "Tradition and Modern Writing", part II (441-470)*]. Tbilisi.
- Modebadze, I. (2019). *Gageba da int'erp'ret'atsia targmanshi. prangebi sakartveloshi da pranguli k'ult'uris repleksia kartul k'ult'urul sivrtseshi (me-17 sauk'unian me-20 sauk'unis dasats'q'isamde)*. [Understanding and Interpretation in Translation. The French in Georgia and the Reflection of French Culture in

- the Georgian Cultural Space (from the 17th Century to the Beginning of the 20th Century). (75-84)]. Tbilisi: Mtsignobari Publishing House.
- Retsker, Ya. (1974). *Teoriâ perevoda i perevodčeskaâ praktika*. [Translation Theory and Translation Practice]. Moscow: International Relations Publishing House.
- Rustaveli, Sh. (1991). *Vytyaz' u tyhroviy shkuri*. Prozovyy pereklad z hruzyns'koyi, peredmovâ ta prymitky Hryts'ka Khalymonenka. [The Knight in the Panthers Skin. Prose translation from Georgian, foreword and notes by Hrytsko Khalimonenko]. Kyiv: Veselka.
- sakartvelos erovnuli arkivis uakhlesi ist'oriis tsent'ralur arkivi, pondi #471, anats'. 21. [National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, f. 471, doc. 21]
- Sonyachne hrono. Moloda hruzyns'ka poeziya. (1970) [Sunny cluster. Young Georgian poetry. .] Kyiv: Publishing house "Molod".
- Sulakauri, A. (1971). *The adventures of a piper*. Translated from Georgian by Hrytsko Khalimonenko. Kyiv: Publishing house for children's literature "Veselka".
- Syvachenko, G. (2019). Kul'turnyy transfer – nova komparatyvistychna metodolohiya vyvchennya vzayemodiyi kul'tur [Cultural transfer – a new comparative methodology for studying the interaction of cultures. Word and Time, No. 3, 70-81].
- Tsibakhashvili, G. (2000). *Targmanis teoriisa da p'rakt'ik'is sak'itkhebi*. [Issues of Translation Theory and Practice]. Tbilisi: TSU Publishing House.
- Vinogradnyk. (2005). *Antolohiya hruzyns'koyi poeziyi*. Uporyad. R. Chilachava [Anthology of Georgian Poetry. Compiled by R. Chilachava.] Kyiv: Dnipro Publishing House.